მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა

ოქმი №5

ქ. მარტვილი 7 ივნისი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 12სთ-ზე, დამთავრდა 13 სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: ელიზბარ ახვლედიანი, ირინა გადელია, ზაზა რუხაია, მაია გაწერელია, ვლადიმერ დანელია, ბექარ კუკანია, მიხეილ ნაჭყებია.
სხდომას თავმჯდომარეობდა, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ელიზბარ ახვლედიანი.
მოისმინეს 1: სხდომის თავმჯდომარემ ელიზბარ ახვლედიანმა დღის წესრიგის პროექტი გააცნო სხდომის მონაწილეებს.

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის ,,მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე“ მიერთებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;
/მომხსენებელი-ელიზბარ ახვლედიანი, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე./

კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა კომისიის წევრებს საკითხის წინ გაევლოთ რეგისტრაცია.
რეგისტრაცია გაიარა კომისიის 7–მა წევრმა.

მოისმინეს1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, ელიზბარ ახვლედიანის მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის ,,მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე“ მიერთებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი და აღნიშნა, რომ აღნიშნული შეთანხმება მიზნად ისახავს ეკოლოგიურად, სოციალურად და ეკონომიკურად მდგრადი გარემოს დამკვიდრებას.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და კომისიამ კენჭისყრის შედეგად მიიღო გადაწყვეტილება:
კენჭისყრის შედეგები;

მომხრე -5 წინააღმდეგი- 0, თავი შეიკავა-2

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მოწონებულ იქნას .მარტვილის მუნიციპალიტეტის მერისთვის ,,მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკის თაობაზე“ მიერთებაზე თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი და საკითხი ჩაითვალოს მომზადებულად საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: ელიზბარ ახვლედიანი